10/06/2026

MES 6 26 0000698299

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 28.05.2026
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 15:55 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: სერგო ჭელიძე
საბჭოს მდივანი: ზურაბ ქავთარია

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის, გამოყენებით 2026 წლის 28 მაისს.
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

1. **სერგო ჭელიძე** - შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი-საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ვასილ გონაშვილი** - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი-საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
3. **ზურაბ ქავთარია** - ა(ა)იპ- საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე - საბჭოს მდივანი;

4. **ნათია ჯოჯუა** - შპს ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **რიმა ბერიაშვილი** - სსიპ- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური განვითარების და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი, ამავე უნივერსიტეტის პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;
6. **მარიამ ბოჭორიშვილი** - ა(ა)იპ - ტად ვიკის დირექტორი, სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და დიზაინის სკოლის ხელმძღვანელი;
7. **თამარ გამსახურდია** - შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი;
8. **ციური დურული** - სსიპ- გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
9. **ლევან ვეფხვაძე** - ა(ა)იპ საქართველოს ბიზნეს ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;
10. **ნინო მინდიაშვილი** - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტურის სამსახურის უფროსი,
პროფესორი;
11. **ნარგიზ ფალავანდიშვილი** - სსიპ- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
12. **ეკატერინე შაკიაშვილი** - სსიპ- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
13. **ბაქარ ბერეკაშვილი** - შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის დოქტორანტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:

1. ქრისტინე აბულაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
2. ნანა კავლელაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი

- კახი ყურაშვილი - ვიცე რექტორი;
- ნინო სეფაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- ნიკა დუდაშვილი - იურიდიული სამსახურის უფროსი.

სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

- თეა ჯუღელი - სსუ რექტორი;
- დევი შონია - სსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- დავით ჯალაღონია - სსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

- ტიტე აროშიძე - უნივერსიტეტის რექტორი;
- ვლადიმერ ღლონტი - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

- გიორგი ქათამაძე - უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით;

- თამარ სირაძე - უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით;
- მერაბ დიასამიძე - უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
- ბესიკ ნარაკიძე - უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი.

ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

- მარინე იოსელიანი - რექტორი;
- ირინა გორგილაძე - მმართველობის სკოლის დეკანი;
- ნესტან ციციშვილი - სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი;
- ბაკურ კვაშილავა - სამართლისა და პოლიტიკოს სკოლის დეკანი;
- ნინა ივანიშვილი - ჟურნალისტიკისა და მედიამენეჯმენტის კავკასიური სკოლის დეკანი;
- თედო სანიკიძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
- ნანა ქაშაკაშვილი - სოფლის განვითარების და პროფესიული სწავლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- სალომე ჟორჟილიანი - ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი;
- ნინო რამიშვილი - ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის სპეციალისტი;
- ჟანა ანთია - ტრენინგებისა და კონსულტირების ცენტრის ხელმძღვანელი;
- დავით წასიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
- ნიკა გიგაური - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი;
- მარიამ კეკელიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
- ლუკა ბერაია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

- შალვა კირთაძე - პროფესორი, რექტორი;
- სერგო სვანაძე - ასოცირებული პროფესორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
- თეა კორძაძე - უნივერსიტეტის პროფესორი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- დავით გეგეჭკორი - პროფესორი, საგარეო ურთიერთობათა და განვითარების სამსახურის უფროსი;
- ნატო წულეისკირი - უნივერსიტეტის პროფესორი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი;
- ოთარი შენგელია - ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

- ბექა ბენდელიანი (I საკითხი);
- ეკა ლეკაშვილი (I საკითხი);
- რევაზ ტაბატაძე (I საკითხი);
- ნინო ალავიძე (II საკითხი);

- დავით თოფურია (II საკითხი);
- ილია ბოცვაძე (II საკითხი);
- თამთა ცხოვრებაძე (III საკითხი);
- დავით სიხარულიძე (III საკითხი);
- ეკატერინე ბაკარაძე (III საკითხი);
- ეკატერინე ფიფია (IV საკითხი);
- ეკა გეგეშიძე (IV საკითხი);
- მარიამ ბურმისტროვა (IV საკითხი).

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 14:00 საათზე.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ სერგო ჭელიძემ.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების, მათ შორის საბჭოს მოწვეული წევრების, სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გაცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

• კი

ცენტრის წარმომადგენელმა, ქრისტინე აბულაძემ საბჭოს წევრებს გააცნო შუამდგომლობა "შპს თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს, 2025 წლის 15 დეკემბრის № 1787283 გადაწყვეტილების დანართში ცვლილებების ასახვის შესახებ.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. "შპს თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 15 დეკემბრის № 1787283 გადაწყვეტილების დანართში ცვლილებების შეტანის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

პირველი საკითხი: "შპს თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 15 დეკემბრის № 1787283 გადაწყვეტილების დანართში ცვლილებების შეტანის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
• არა
ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
• არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს საბჭოსთვის მიეწოდებინა დეტალური ინფორმაცია შუამდგომლობებთან დაკავშირებით.
ცენტრის წარმომადგენელმა წარადგინა შუამდგომლობა, რომელიც ეხებოდა შპს თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 15 დეკემბრის №1787283 გადაწყვეტილების დანართში ცვლილებების ასახვას. კერძოდ, დანართის მე-6 ნაწილში "სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიან რუსულენოვან საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით, მისანიჭებელი კვალიფიკაცია და დეტალური სფეროს დასახელება და კოდი სწავლის სფეროს კლასიფიკატორის მიხედვით - უნდა მიეთითოს შემდეგნაირად, კვალიფიკაცია: "დიპლომირებული სტომატოლოგი", ხოლო დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: "0911 - დენტალური მედიცინა".
ასევე, დანართის მე-7 ნაწილში "სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით მისანიჭებელი კვალიფიკაცია და დეტალური სფეროს დასახელება და კოდი სწავლის სფეროს კლასიფიკატორის მიხედვით - უნდა მიეთითოს შემდეგნაირად, კვალიფიკაცია: "დიპლომირებული სტომატოლოგი", ხოლო დეტალურ სფეროს დასახელება და კოდი: "0911 - დენტალური მედიცინა".

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა სათათბირო შესვენება.
დაწყების დრო: 14:19
დასრულების დრო: 14:23

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: "შპს თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 15 დეკემბრის № 1787283 გადაწყვეტილების დანართში ცვლილებების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 13
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 28 მაისის სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 15 დეკემბრის № 1787283 გადაწყვეტილების დანართში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:
1.1 დანართის მე-6 ნაწილში, "სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიან რუსულენოვან საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით, მისანიჭებელი კვალიფიკაცია და დეტალური სფეროს დასახელება და კოდი სწავლის სფეროს კლასიფიკატორის მიხედვით, მიეთითოს შემდეგნაირად:
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: "დიპლომირებული სტომატოლოგი",
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: "0911 - დენტალური მედიცინა",

1.2 დანართის მე-7 ნაწილში,"სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათ ლებლო პროგრამასთან მიმართებით, მისანიჭებელი კვალიფიკაცია და დეტალური სფეროს დასახელება და კოდი სწავლის სფეროს კლასიფიკატორის მიხედვით, მიეთითოს შემდეგნაირად:
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: "დიპლომირებული სტომატოლოგი",
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი სწავლის სფეროს კლასიფიკატორის მიხედვით - "0911 - დენტალური მედიცინა".

მეორე საკითხი: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა(ნენ) თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
• არა
ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
• კი

თვითაცილება განაცხადა ნინო მინდიაშვილმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახ ილველ საკითხთან
მიმართებით.
ექსპერტმა ეკა ლეკაშვილმა აღნიშნა რომ ჯგუფის მიერ გაიცა 14 რეკომენდაცია. დაწესებულებაში ვიზიტი არ განხორციელებულა და შეფასების პროცესი დისტანციურ რეჟიმში წარიმართა 2026 წლის 16 მარტს. რეკომენდაციები მოიცავდა მე-2, მე-3, მე-5 და მე-7 სტანდარტებს. პირველი რეკომენდაცია დაკავშირებული იყო ხარისხის მექანიზმებთან, შესაბამისად დოკუმენტში ზოგადი პრინციპებიდან უნდა გამოყოფილიყო პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტებში ცალკეული მიმართულებები და თავისებულებები, განსაკუთრებით, საერთაშორისო ურთიერთობების მექანიზმი. ამასთან მიმართებით წარმოდგენილი იყო დოკუმენტაცია, სადაც მკაფიოდ იყო ნიშნულები წარმოდგენილი, რომლის მიხედვითაც მოხდებოდა პერსონალის შერჩევის დროს შეფასება, შესაბამისად, წარმოდგენილი იყო დოკუმენტებიც, რომლებიც ადასტურებდა მათ მონაწილეობას ინტერნაციონალიზმის პროცესში, მათ შორის: გამოქვეყნებები, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა და ა.შ. შემდეგი ნაწილი დაკავშირებული იყო ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან, სადაც დეტალურად უნდა აღწერილიყო და გამიჯნულიყო შიდა და გარე შეფასების მექანიზმები, რაც ინსტიტუციის მიერ შესრულდა. მასში იყო სტუდენტთა კოდირების დაგეგვმის მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულების დაგეგვმის მექანიზმი. წარმონოდგენილ დოკუმენტში გაწერილი იყო ყველა ის კრიტერიუმი, რაც მოთხოვნილი ჰქონდა არა მარტო 2025 წლის საბჭოს, არამედ 2018 წლის ავტორიზაციის საბჭოს.
შემდეგი საკითხი დაკავშირებული იყო უცხო ენის სწავლებასთან. დაინერგა შეფასების უფრო მრავალფეროვანი მეთოდები, ასევე, სწავლება - სწავლის მეთოდები. საერთაშორისო აქტივობებში გაიზარდა სტუდენტების ჩართულობა. ამასთან, უნივერსიტეტი სხვადასხვა ევროპულ ენას სთავაზობდა სტუდენტებს. შემდეგი ნაწილი უკავშირდებოდა პრაქტიკულ სწავლებას, რაც ასევე შესრულებულია. შემდეგი რეკომენდაციები ეხებოდა ინფრასტრუქტურას, რომელიც განახლდა. პირველ რიგში კი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის შესაბამის გარემოს შექმნას, აღნიშნულთან დაკავშირებით, პირველ კორპუსში დაიდგა შესაბამისი აღჭურვილობა, რომლის საშუალებითაც მარტივად შეძლებდნენ გადაადგილებას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები. მეტწილი შესაბამისობა დაფიქსირდა გარე აუდიტთან დაკავშირებით არსებულ რეკომენდაციაზე. ამასთან დაკავშირებით შესწავლილ იქნა ფასები, კონკურსიც კი გამოცხადდა, მიუხედავად იმისა რომ ამ მიმართულებით შედეგი ვერ დადგა, ინსტიტუცია აგრძელებს მუშაობას აღნიშნულ საკითხზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიან თი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა, დევი შონიამ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ყველა რეკომენდაცია მაქსიმალურად გაითვალისწინა. რაც შეეხება მეტწილად შეფასებულ რეკომენდაციას, ეს პროცესი უწყვეტად გრძელდება ინსტიტუციაში და ახლა ფაქტობრივად, გარე აუდიტის ჩართულობა მიმდინარეობს დაწესებულებაში. დანარჩენი რეკომენდაციები მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შ ეკითხვები.
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადასა თათბირო შესვენება.
დაწყების დრო: 14:25

დასრულების დრო: 14:50

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მიერ ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 79^1-ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიში ცნობად იქნეს მიღებული.

მესამე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
•არა
ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
• კი

თვითაცილება განაცხადეს ნარგიზ ფალავანდიშვილმა და თამარ გამსახურდიამ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტმა ილია ბოცვაძემ აღნიშნა რომ ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის ზაფხულში. გაიცა რიგი რეკომენდაციები, რომლებიდანაც ნაწილი რჩევებში გადავიდა და ნაწილი კი დარჩა რეკომენდაციებად. ამის შემდგომ, 2026 წლის იანვარში ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიში. ექსპერტის განმარტებით, ექვსი რეკომენდაცია სრულად შესრულებულია, რაც შეეხება დანარჩენ სამ რეკომენდაციას, პირველი ეხებოდა სტრატეგიულ დაგეგმარებას და შემდეგ ამ დაგეგმარებასთან უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმის კავშირს. გაიცა რეკომენდაცია, რომ აღნიშნული დაკავშირება სხვა გზით ჩამოყალიბებულიყო. სამოქმედო გეგმა და სტრატეგია უფრო რეალისტური უნდა ყოფილიყო. დოკუმენტაციის სახით დაწესებულებამ წარმოადგინა ამ საკითხის დეტალური განხილვა, თუმცა ცვლილება განხორციელებული არ იყო.

მომდევნო რეკომენდაცია ეხებოდა მეოთხე სტანდარტს, რომელიც წარმოადგენდა პერსონალის შეფასებას. ექსპერტის მიერ აღინიშნა, რომ აკადემიური პერსონალის შეფასების სისტემა გამართული იყო, თუმცა არსებობდა გამოწვევაც ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების კუთხით, ამასთან მიმართებითაც გაიცა რეკომენდაცია, რათა ჩამოყალიბებულიყო ინდიკატორები. ამ კუთხით დაწესებულების მიერ ასევე გადადგმულია ნაბიჯები, რაც დოკუმენტებიდანაც ჩანს, თუმცა მთავარი მოთხოვნა, რასაც რეკომენდაცია გულისხმობდა, არ იყო გათვალისწინებული და საჭიროებს დახვეწას. ბოლო რეკომენდაცია ეხებოდა უნივერსიტეტის ვებ-გვერდის ინგლისურ ნაწილს. ვებ-გვერდზე ნაწილი ინფორმაცია მოცემული იყო ინგლისურადაც, თუმცა არის გარკვეული ინფორმაციები, რომლებიც არ არის ინგლისურ ენაზე წარმოდგენილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 2026 წელს დაწესებულებამ მოახდინა საერთაშორისო ურთიერთობის და სტრატეგიული მომსახურების გამიჯვნა. იმისათვის, რომ უფრო დეტალურად ყოფილიყო გამიჯნული საქმიანობა მონიტორინგისა თუ შეფასების კუთხით ცალკე გამოიყო მონიტორინგის სამსახური. ყველა ინდიკატორი, რაც წარმოდგენილია არის გაზომვადი და ყველა შედეგი შეფასებადი, შესაბამისად დაწესებულება რეკომენდაციას არ იზიარებს.

რაც შეეხება ადამიანურ რესურსებს, ინსტიტუციაში განხორციელდა საქმის წარმოებისა და ადამიანური რესურსების სამსახურის გამიჯვნაც, შესაბამისად ადამიანური რესურსების სამსახური ასრულებს იმ ფუნქციებს, რომლებიც მას ევალება და მკაცრად გაიმიჯნა საქმისწარმოებისგან. რაც შეეხება ადამიანური რესურსების მართვის მხრივ ადმინისტრაციული თანამშრომლებისა და დამხმარე პერსონალის შეფასების კრიტერიუმებს, შეფასების გეგმა გაწერილია და 2026 წლის ბოლოსთვის უკვე წარმოდგენილი იქნება შეფასების სისტემა.

ვებ-გვერდთან დაკავშირებით აღინიშნა რომ რეკონსტრუქციის პროცესშია, შესაბამისად, დაწესებულება მუშაობს ამ მიმართულებით, ძირითადი ნაწილი არის ინგლისურენოვანი და სისტემა მუშაობს გამართულად, თუმცა არის გარკვეული ხარვეზები, რომლების მოგვარებადია 2026 წლის ბოლოსთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე შაკიაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტს 1.2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა ისევ მიიჩნევდა თუ არა ამ რეკომენდაციას შესრულებულად და იმ შემთხვევაში თუ არ მიიჩნევდა, რა იყო საჭირო ინსტიტუციისგან დამატებით.

ექსპერტმა ილია ბოცვაძემ აღნიშნა, რომ გარკვეული ნაბიჯები უკვე გადადგმული აქვს დაწესებულებას. ამ ეტაპზე ფასდება შესრულებულია თუ არა რეკომენდაცია და არ ჩანს რა დონემდე განახორციელა საკითხი ინსტიტუციამ.
დაწესებულების წარმომადგენელმა ვლადიმერ ღლონტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას წერილობით აქვს თავისი გამოგზავნილი პოზიცია. ეს რეკომენდაცია ითვალისწინებდა სტრატეგიული დაგეგვმის ციკლის სრულყოფილ გამოყენებას, თუმცა რკომენდაცია ჩამოყალიბდა, რომ გადაიხედოს ის ამოცანები, რომლებიც არის წარმოდგენილი. ის რაც მაღალი ლეგიტიმაციით არის მიღებული უნივერსიტეტში, გაზიარებულია ფაკულტეტის საბჭოების, უნივერსიტეტის აკადემიური, დამხმარე პერსონალის მიერ, დამტკიცებულია წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოს მიერ და განსაზღვრულია, როგორც ორიენტირი, რომელიც უნდა გახდეს ორიენტირი უნივერსიტეტის საქმიანობისა. ექსპერტებს დასკვნაშივე აქვთ აღნიშნული, რომ ეს არის მისაღები. შესაბამისად, აქ კონკრეტული რეკომენდაცია არ გაცემულა.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ საუბარი იყო 2025-2027 და 2025-2031 წლების სრატეგიულ გეგმაზე, რომელიც 2026 წლის ანგარიშით შეიძლება შეფასდეს შესრულებულად ან პირიქით. ამიტომ, ეს არის სამოქმედო გეგმის თანმდევი პროცესი. მან ასევე დაამატა რომ ანგარიში წარმოდგენილი იყო 2025 წლის ზაფხულში და სტრუქტურული ცვლილებები განხორციელდა 2026 წლის იანვარში, შესაბამისად ეს ცვლილებები არ იყო წარმოდგენილი 2025 წლის დოკუმენტაციაში.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 15:14
დასრულების დრო: 15:30

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის შესწავლის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორებლად ორი თვის ვადის განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 79^1-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს განესაზღვროს არაუმეტეს ორი თვის ვადა გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად.

რეკომენდაციები:
1. რეკომენდებულია ბსუ-მ დანერგოს დინამიური ციკლის სტრატეგიული დაგეგმვის პრაქტიკა საკუთარი მეთოდოლოგიის შესაბამისად, თავის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში მიუთითოს შესრულების მკაფიო ინდიკატორები თითოეული შემთხვევისთვის და სისტემატურად გააერთიანოს მათთან დაკავშირებული ამოცანები და მისწრაფებები (1.2);

2. რეკომენდებულია პერსონალის შეფასების გათანაბრება სტანდარტებთან და მისი განხორციელება ადამიანური რესურსების დეპარტამენტის მიერ, მკაფიო კრიტერიუმებითა და შესრულების ძირითადი ინდიკატორებით (1.4);
3. რეკომენდებულია, რომ ბსუ-ს ვებგვერდი იყოს სრულყოფილი და ხელმისაწვდომი ინგლისურენოვანი მომხმარებლებისთვისაც (7.3).

მეოთხე საკითხი: ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა(ნენ) თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
• არა
ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
• არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.
ექსპერტმა თამთა ცხოვრებაძემ აღნიშნა რომ ინსტიტუციის ავტორიზაციის შეფასების პროცესში მთლიანობაში გაიცა 11 რეკომენდაცია. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადასტურდა, რომ დაწესებულებამ ყველა რეკომენდაცია სრულად შეასრულა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.
ინსტიტუციის წარმომადგენლებს კომენტარი არ გაუკეთებიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონიათ.

დაწყების დრო: 15:30
დასრულების დრო: 15:40

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 13
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 79^1-ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიში ცნობად იქნეს მიღებული.

მეხუთე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა(ნენ) თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
• არა
ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
• არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.
ექსპერტმა ეკატერინე ფიფიამ აღნიშნა, რომ ექსპერტებმა ძრითადად იმუშავეს მე-2, მე-4, მე-5 და მე-7 სტანდარტებზე გარკვეულ კომპონენტებთან მიმართებით. მეორე სტანდარტთან დაკავშირებით გაიცა 3 რეკომენდაცია, რომელიც სრულად არის შესრულებული. მეოთხე სტანდარტთან მიმართებით გაიცა 4 რეკომენდაცია, რომელიც ასევე სრულად არის შესრულებული, მეხუთე სტანდარტში იყო 8 რეკომენდაცია, აქედან 6 სრულად შესრულდა, თუმცა 2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით გარკვეული ტიპის რჩევები ჩამოყალიბდა. პირველი რეკომენდაცია ეხებოდა ვებ-გვერდზე ყველა საჭირო ტიპის ინფორმაციის განთავსებას და შესწავლის შედეგად დადგინდა ინგლისურ და ქართულ ენებზე გარკვეული დოკუმენტების არარსებობა, შესაბამისად რეკომენდაცია შეფასდა მეტწილად. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა სტუდენტთა დასაქმების პორტალის ვებ-გვერდზე განთავსებას, ეს

რეკომენდაციაც შეფასდა მეტწილად, რადგან ვებ-გვერდის შესწავლისას დადგინდა, რომ ბევრი ვაკანსია იყო ვადაგასული. მეშვიდე სტანდარტში გაიცა ერთი რეკომენდაცია, რომელიც ასევე მეტწილად შეფასდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა, შალვა კირთაძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი მაქსიმალურად ცდილობს ყოველდღიურად დანერგოს ის სიახლეები რაც განვითარებისთვის აუცილებელია, მათ შორის ექსპერტთა მიგნებები. კარიერული განვითარების სამსახურმა დაიწყო ვებ-გვერდის ყოველთვიური განახლება. დაწესებულება მაქსიმალურად ცდილობს ყველა რეკომენდაციის გათვალისწინებას რაც დასკვნაშია მოცემული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.
საბჭოს წევრმა, ციური დურულმა კითხვით მიმართა ექსპერტს. აღინიშნა რომ უმჯობესი იქნებოდა სამოქმედო ბიუჯეტი მიბმულიყო სტრატეგიულ გეგმაზე, მას აინტერესებდა, რა იგულისხმებოდა ამ მიბმაში.
ექსპერტმა ეკატერინე ფიფიამ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია შემუშავდეს მართვადი ფორმატი, სადაც თითოეულ KPI - ს ექნება ათვლის წერტილი, გამოთვლის მეთოდი, წყარო, მიმდინარე მდგომარეობა და შემდეგ მოხდეს მათი მონიტორინგი.
ექსპერტმა ეკა გეგეშიძემ აღნიშნა რომ ფინანსური საკითხები ამ მიმართულებით საკმაოდ მოწესრიგებული აქვს დაწესებულებას, თუმცა ძირითადად ეყრდნობიან სახელმწიფო ბიუჯეტს, როდესაც ბიუჯეტთან მიბმულია KPI, ბიუჯეტი დგება სხვა ფორმით და უფრო კარგად ჩანს იმ მიზანთან თუ სამოქმედო გეგმასთან მიმართებით რამდენი თანხა დაიხარჯა, თუმცა რადგან საჯარო უნივერსიტეტებში, საქართველოში ეს პრაქტიკა ნაკლებად არსებობს, სწორედ ამიტომ მოხდა ამ საკითხის რჩევის სახით ფორმულირება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 15:40
დასრულების დრო: 15:55

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 13
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ

ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 79[1]-ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიში ცნობად იქნეს მიღებული.

ყველა საკითხის განხილვის შემდეგომ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 15:55 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ქავთარია ზურაბი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჭელიძე სერგო